მწვანე ნარგავეიბის ხარისხობრივი შეფასების საექპერტო დასკვნა

თარიღი	*21.09.2022*	*555 967 200* *beqa_berdzenisvhili@yahoo.com*
დამკვეთი	შპს ოქსინო 21	
ნაკვეთის მეპატრონე	შპს ოქსინო 21	
მისამართი	ბაღდადის ქუჩა N12	
მეთოდოლოგია	ტაქსაცია	
ს/კ	01.17.12.026.002	

ობიექტის და მეთოდოლოგიის შესახებ

ობიექტი მდებარეობს ბაღდადის ქუჩაზე მცენარეები შეფასდა ტაქსაციური მეთოდით და ვიზუალურად. მწვანე ნარგავების სახეობის იდენტიფიცირება მოხდა მსოფლიო და ადგილობრივი ფლორების მონაცემთა ბაზებზე დაყრდნობით.

#	სახეობა	ს/ფ	დიამეტრი (1,3 მ-ზე)	დიამეტრი (0,1 მ-ზე)	ასაკი*	მცენარის მდგომარეობა	შენიშვნა
1	Styphnolobium japonicum იაპონური სოფორა	ხე		61		ჯანსაღი	
2	Ulmus minor თელა	ხე		62		ჯანსაღი	
3	Prunus divaricata ტყემალი	ხე		12		ჯანსაღი	ექვემდებარება გადარგვას
4	Ailanthus altissima ხემყრალა	ხე		14		ჯანსაღი	ექვემდებარება გადარგვას
5	Ailanthus altissima ხემყრალა	ხე		50		ჯანსაღი	
6	Ailanthus altissima ხემყრალა	ხე		18		ჯანსაღი	ექვემდებარება გადარგვას
7	Ailanthus altissima ხემყრალა	ხე		54		ჯანსაღი	
8	Ailanthus altissima ხემყრალა	ხე		12		ჯანსაღი	ექვემდებარება გადარგვას

9	Ailanthus altissima ხემყრალა	ხე		14		ჯანსაღი	ექვემდებარება გადარგვას
10	Ailanthus altissima ხემყრალა	ხე		12		ჯანსაღი	ექვემდებარება გადარგვას
11	Robinia pseudoacacia ცრუაკაცია	ხე		32		ჯანსაღი	
12	Robinia pseudoacacia ცრუაკაცია	ხე		12		ჯანსაღი	ექვემდებარება გადარგვას
13	Ficus cariga ლეღვი	ხე		8		ჯანსაღი	ხილკენკროვანი
14	Morus alba თუთა	ხე		44		ჯანსაღი	

საერთო დასკვნა

დამკვეთის მიერ მითითებულ საკადასტრო კოდის საზღვრებში, წინასწარ მომზადებულ ტოპოგრაფიულ რუკაზე დატანილი მწვანე ნარგავების სიმბოლოების მიხედვით, შეფასდა 14 ძირი მწვანე ნარგავი, დადგინდა მათი სახეობა, შეფასდა მათი მდგომარეობა.

გადარგვას ექვემდებარება: N4 N6 N8 N9 N10 ხემყრალა 12 ცრუაკაცია

ხილკენკროვან კატეგორიას მიეკუთვნება: N3 ტყემალი N13 ლეღვი

25 სმ მდე ღეროს დიამეტრის მქონე მცენარეების გადარგვის მეთოდოლოგია

გადარგვა, შესაძლებელია ჩატარდეს მცენარის არასავეგეტაციო პერიოდში (მარტის მეორე ნახევარი - აპრილი) შემოდგომით (ოქტომბერი - ნოემბრის პირველი ნახევარი), ალტერნატიულ ადგილზე აგროტექნიკური ღონისძიებების სრული დაცვით (გადასარგავი მცენარის დიამეტიდან გამომდინარე შესაბამისი სიღრმის ორმოს მომზადება, გადასარგავი მცენარის ამოღება ბელტის დაუშლელად და გადარგვა წინასწარ მომზადებულ ორმოში, საჭიროების შემთხვევაში მცენარის გასხვლა - ფორმირება, სარწყავი ჯამის გაკეთება, დარგვის შემდეგ მცენარის ინტენსიური მორწყვა).

25 სმ ზე მეტი ღეროს დიამეტრი მქონე მერქნიანი მცენარის გადარგვისთვის საჭიროა შესაბამისი ტექნიკის გამოყენებით უფლება მისილი პირის მიერ შედგენილი რეგლამენტის საფუძველზე გადაირგოს მწვანე ნარგავი:

სამშენებლო არალში მყოფი მწვანე ნარგავები

მოსაჭრელი ხილკენკროვანი მწვანე ნარგავი

N3 ტყემალი N13 ლეღვი

გადასარგავი მწვანე ნარგავები

N4 N8 N9 N10 ხემყრალა

N12 ცრუაკაცია

გახარების შესახებ

გადასარგავი მწვანე ნარგავების შემდგომი გახარების შესახებ

მწვანე ნარგავის გადარგვის დროს მნიშვნელოვანი ღონისძიებებია:

1. ***ფესვთა სისტემის შენარჩნება.***
2. ***მთავარი ღეროს დაფიქსირება გადატანის მომენტში.***
3. ***ორმოს ამოღება და სათანადო დაცვა ყველა სტანდარტის დაცვით***
4. ***დარგული მცენარის შემდგომი მოვლა პატრონობა***

1. ***ფესვთა სისტემის შენარჩუნება.***

გადარგვის პერიოდში (იხ.ხეების გადარგვის მეთოდოლოგია) მცენარეზე ზემოქმედების დროს ხდება ფესვთა სისტემის ვიბრაცია, დაზიანება და შემცირება.

სწორი შემარბილებელი ღონისძიება და გახარების ალბათობის გაზრდა

იმ შემთხვევაში თუ გადარგვის დროს ფესვთა სისტემას შეუნარჩუნდება მიწის საფარი (მცენარის ამოღება მოხდება კომის საშუალებით, შემოეხვევა ჭილოფის ნაჭერი) მაქსიმალურად შენარჩუნდება ფესვთა სისტემა, ხოლო დამხმარე ფესვები, რომელიც ცილდება არეალს ჩაჭრილი იქნება გასრი საგნით (რადგან არ მოხდეს მათი ამოგლეჯვა, რაც გამოწივევს კომის და ფესვის დაშლას ასევე ფესვის ყელის დაზიანებას) ასევე

მცენარის ჩასმა მოხდება სიფრთხილით და მიწის მიყრის დროს არ დაზიანდება ის. მწვანე ნარგავის ფესვთა სისტემა მიიღებს ნაკლებს სტრესს შესაბამისად ის ახალ გარემოში განაგრძობს ფუნქსიონირებას.

2. მთავარი ღეროს დაფიქსირება გადატანის მომენტში.

მთავარი ღერო ეს არის მცენარის მნიშვნელოვანი ნაწილი, გადარგვის დროს მცენარე უნდა იყოს დაფიქსირებული, რადგან არ მოხდეს მისი გადატეხვა, ფესვის ყელის და ვარჯის დაზიანება კამბიუმის დაზიანება. თუ მცენარეს დაუზიანდება ფესვის ყელი და კამბიუმი ეს არ იქნება შემჩნეული და არ გატარდება შესაბამისი ღონისძიება დროთა განმავლობაში გამოიწვევს მცენარის დაღუპვას.

შემარბილებელი ღონისძიებები

იმ შემთხვევაში თუ მცენარე ახალ სასიცოცხლო გარემოში გადაირგვება სწორად და არ დაზიანდება ის, მწვანე ნარგავი განაგრძობს ფუნქციონირებას. ვარჯის შენარჩუნება მცენარეს მისცემს საშუალებას აწარმოოს ფოტოსინთეზი, ფესვის ყელის და კამბიუმის დაუზიანებლობის შემთხვევაში, მცენარე საცრისებრი მილების საშუალებით მიიღებს ყველა საჭირო მიკრო და მაკრო ელემენტს. ასევე განარძობს სასიცოცხლო ციკლს.

3. ორმოს ამოღება და სათანადო დაცვა ყველა სტანდარტის დაცვით

გადასარგავი მცენარის ორმოს პარამეტრები (იხ გადარგვის მეთოდოლოგია) გადასარგავის მცენარისთვის მოსამზადებელი ორმოს ზომები უნდა შეესაბამებოდეს მცენარის ფესვთა სისტემის, კომის მოცულობას. სწორი ზომების შერჩევის შემთხვევაში მწვანე ნარგავის ფესვთა სისტემა დაუბკოლებლად შეძლებს ფუნქციონირებას რაც მნიშვნელოვანია მცენარის ვეგეტაციის შესანარჩუნებლად.

4. მცენარის შემდგომი მოვლა პატრონობა.

ა. საჭიროა დაწესდეს მცენარის მორწყვის გრაფიკი (მორწვის ხანგძლივობა და წყლის რაოდენობა დამოკიდებულია გარემო პირობებზე და ამინდზე) გრაფიკის მცირედმა დარღვევამ შესაძლოა გამოიწვიოს მწვანე ნარგავის გახმობა.

ბ. საჭიროა მონიტორინგი განხორციელდეს მცენარის მდგომარეობაზე, პერიოდულად შემოწმდეს მწვანე ნარგავები და მავნებელ-დაავადების გამოვლენის შემთხვევაში მიიღოს შესაბამისი ზომები, ასევე გაკეთდეს მონიტორინგი მცენარის კვებაზე, თუ მცენარე ან მისი ვეგეტატიური ორგანოები დაკნინდა შეეცვალა ფერი არ ყვავილობს და არ სხმოიაროობს სტაბილურად, ეს შესაძლოა გამოწვეულ იქნებას ნიადაგში მიკრო მაკრო ელემენტების ნაკლებობის მიზეზი. შესაბამისად უნდა მოხდეს ორგანული და ქიმიური სასუქების შეტანა. (მავნებელ დაავადებების მიმართ ბრძოლა, და აგროტექნიკური სამუშაოების დაგეგმვა უნდა მოხდეს სპეციალისტის მიერ) ახალგადარგული მწვანე ნარგავები განიცდიან სტრესს, მათზე ნებისმიერი ბიოტური, აბიოტური ან ანთროპოგენური ფაქტორი მომაკვდინებელი გახდება მცენარისთვის, ამიტომ მოვლის ღონისძიებები უნდა იყოს სტაბილურად და სწორად ჩატარებული, ამ შემთხვევაში ინდივიდი მარტივად შეეგუება ახალ გარემოს.

დასკვნა: *გამომდინარე იქიდან, რომ მწვანე ნარგავები ჯანსაღია, არ აქვთ დაზიანებული ფესვისყელი, არ აღენიშნება მავნებელ დაავადებები, არ აქვს დაზიანებული მერქანი და კამბიუმი, არ აღინიშნება ფოთლების ან წიწვის ხმობა და ინტენსიური ცვენა. მწვანე ნარგავის სწორად (გათვალისწინებული იქნება აღნიშნული გადარგვის მეთოდოლოგია და სწორად იქნება გამოყენებული აგროტექნიკური სამუშაოები,) გადარგვის და მოვლის შემთვევაში. მწვანე ნარგავის გახარების ალბათობა იქნება გაზრდილი და ის ახალ გარემოში განაგრძობს ვეგეტაციას რაც ნიშნავს ინდივიდის გახარებას.*

N4 N8 N9 N10 ხემყრალა

გახარების შესახებ: შეფასებული ინდივიდები მდებარებს ვაკე ტერიტორიაზე, დამკვეთის ინფორმაციით ინფრასტუქტურული სამუშაოს შესრულების დროს, გათავისუფლდება მისასვლელი გზები სამუშაოს ჩატარებისთვის, წარმოდგენილია ჯგუფურად ან ერთეულ ინდივიდებად. აქვთ კარგი ზრდა განვითარება. მწვანე ნარგავები ჯანსაღია, არ აქვთ დაზიანებული ფესვისყელი, არ აღენიშნება მავნებელ დაავადებები, არ აქვს დაზიანებული მერქანი და კამბიუმი, არ აღინიშნება წიწვების ხმობა და ინტენსიური ცვენა. მწვანე ნარგავის სწორად (გათვალისწინებული იქნება აღნიშნული გადარგვის მეთოდოლოგია და სწორად იქნება გამოყენებული აგროტექნიკური სამუშაოები,) გადარგვის და მოვლის შემთვევაში, მწვანე ნარგავის გახარების ალბათობა იქნება გაზრდილი და ის ახალ გარემოში განაგრძობს ვეგეტაციას რაც ნიშნავს ინდივიდის გახარებას.

N12 ცრუაკაცია

გახარების შესახებ: შეფასებული ინდივიდი მდებარებს ვაკე ტერიტორიაზე, დამკვეთის ინფორმაციით ინფრასტუქტურული სამუშაოს შესრულების დროს, გათავისუფლდება მისასვლელი გზები სამუშაოს ჩატარებისთვის, წარმოდგენილია ერთეულ ინდივიდად. აქვს კარგი ზრდა განვითარება. მწვანე ნარგავი ჯანსაღია, არ აქვს დაზიანებული ფესვისყელი, არ აღენიშნება მავნებელ დაავადებები, არ აქვს დაზიანებული მერქანი და კამბიუმი, არ აღინიშნება წიწვების ხმობა და ინტენსიური ცვენა. მწვანე ნარგავის სწორად (გათვალისწინებული იქნება აღნიშნული გადარგვის მეთოდოლოგია და სწორად იქნება გამოყენებული აგროტექნიკური სამუშაოები,) გადარგვის და მოვლის შემთვევაში, მწვანე ნარგავის გახარების ალბათობა იქნება გაზრდილი და ის ახალ გარემოში განაგრძობს ვეგეტაციას რაც ნიშნავს ინდივიდის გახარებას.


მიწისქვეშა ავტოსადგომის გადახურვის ფილა
საპროექტო შენობა
საპროექტო შენობა
მიწისქვეშა ავტოსადგომის გადახურვის ფილა
1,907.022 m²
623.793 m²
41.972 m²
1
2
3
4
5
6
7
8
9
10
11
12
13


1
2022/9/19 13:43


2022/9/19 13:45


2022/9/19 13:45


2
2022/9/19 13:46


2
2022/9/19 13:46


3
2022/9/19 13:48


4
2022/9/19 13:49


5 7
2022/9/19 13:56


6


2022/9/19 14:00


9
2022/9/19 14:01




11
2022/9/19 14:02


12
13


14
2022/9/19 14:07